საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/15300
05/07/2018

15300-04/07-2-201807051436

„ფაქტ-მეტრი“-ს მთავარ რედაქტორს
ბ-ნ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

სამინისტროში 2018 წლის 28 ივნისს შემოსული თქვენი წერილის პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

- დღეის მდგომარეობით, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 38 670 დევნილი ოჯახი (110 835 პირი);
- 2013-2018 წლებში საცხოვრისით დაკმაყოფილდა 12 001 დევნილი ოჯახი;
- 2013-2018 წლებში დევნილთა ძალით გამოსახლებას ადგილი არ ჰქონია;
- დღეის მდგომარეობით, დევნილთა საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მშენებლობები: ზუგდიდში - 360 ბინაზე, ქუთაისში - 754, წყალტუბოში - 140, ბათუმში - 164, მცხეთაში - 120 და თბილისში - 260 ბინაზე;
- 2013 წლიდან დაიხურა 100 ნგრევადი ობიექტი და ახალ საცხოვრისში გადაყვანილ იქნა 1 366 ოჯახი. ექსპერტიზის მიერ სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით შეფასებულია 110 ობიექტი, სადაც ცხოვრობს 2 133 ოჯახი. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სამინისტროს აქვს ვალდებულება განახორციელოს წელიწადში 350 ოჯახის განსახლება ასეთი ობიექტებიდან;

- სამინისტროს ეკომიგრანტთა ბაზაში რეგისტრირებულია 4 241 ოჯახი, საიდანაც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ, სხვადასხვა წლებში, საცხოვრებლით დაკმაყოფილებულია 1 540 ოჯახი;
- 2013-2017 წლებში, სამინისტროს მიერ საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილდა 396 ოჯახი;
- 2013-2017 წლებში, სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრება დაუკანონდა 456 ოჯახს;
- სამომავლოდ იგეგმება დამატებით 587 ოჯახისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების დაკანონება.

პატივისცემით,

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი